

საქართველოს კანონი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლის 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №13(20), 1999 წელი, მუხ. 52) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო

ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების) და არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტების, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს, გარდა ამ კანონის 17¹ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

2. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტების გადაწყვეტილებები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი